წერილის ნომერი: **18-01200782048**
თარიღი: **18/03/2020**
პინი: **6146**

ადრესატი: თამაზ ხაინდრავა
პირადი ნომერი: 29001024147
მისამართი: მარტვილი ს. ლეხაინდრაო მე–9 ქ. N 15

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა, თქვენი განცხადება (N19/01200693542-18, 9.03.020წ) და თანდართული დოკუმენტაციის ასლები (მცენარეების ამსახველი ფოტომასალა), რომლითაც ითხოვთ, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის ქ. N23 -ის ს.კ.: 01.19.34.003.093 მიმდებარედ) განთავსებული მწვანე ნარგავების მოჭრას/გადაბელვას, მათი მოსალოდნელი წაქცევით გამოწვეული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის ქ. N23 -ის ს.კ.: 01.19.34.003.093 მიმდებარედ) არსებული **5 ძირი ვერხვის ხე (N1-55სმ; N2-50სმ; N3-47სმ; N4-57სმ; N6-94სმ)** ხმობადი/ფაუტი და ავარიულია, ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება მათი მოჭრის თაობაზე.

დადგენილების მე-5 თავის მე-14 მუხლის შესაბამისად, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის ქ. N23 -ის ს.კ.: 01.19.34.003.093 მიმდებარედ) 4 ძირი ხის (შენობის მიმართულებით გადახრილი, ავარიული **N5** თუთა -40სმ; მტვრევადი ტოტებით, ხმობადი **N7** ვერხვი -67სმ; ხმობადი, მტვრევადი ტოტებით, ხმობადი **N8** ვერხვი -38სმ; ხმობადი, ხმობადი ტოტებით **N9** ვერხვი -37სმ) არსებული მდგომარეობა ავარიულია, მათი გადაბელვით მოიხსნება ქარქცევადობის ძალიან მაღალი რისკი. **ამდენად, სამსახური თანახმაა,** მოცემული ხეების შესაძლო წაქცევით, ასევე, მათი მტვრევადი ტოტების ჩამოვარდნით გამოწვეული მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების მიზნით, **გადაიბელოს,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გრ. ლორთქიფანიძის ქ. N23 -ის ს.კ.: 01.19.34.003.093 მიმდებარედ) მდგომი 4 ძირი ავარიული ხე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თქვენი განცხადების ასლი და სამსახურის გადაწყვეტილება, აღსასრულებლად გადაგზავნილია შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შპს ,,ეკოსერვის ჯგუფში“.

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს კერძო მიწის ნაკვეთზე, მწვანე ნარგავების საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ასევე, დადგენილებს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ამავე დადგენილების მე-3^1 თავის 27^4-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, **უნდა წარმოადგინოთ** მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა.

განგიმარტავთ, რომ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს:

- მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღს, ადგილსა (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველს;
- ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობასა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობას;
- კვლევის ჩატარების მეთოდს;
- ინფორმაციას მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის დიამეტრისა (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;
- **მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა;**
- იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მწვანე ნარგავი დაავადებულია აუცილებელია წარმოადგინოთ ლაბორატორიული კვლევა იმის შესახებ, ექვემდებარება თუ არა მოცემული მწვანე ნარგავი განკურნებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან თქვენივე განცხადებით კერძო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ შპს ,,მიქსორი“ (საიდენტიფიკაციო N205249827) ფიქსირდება და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ზეხმელი/ხმობადი მწვანე ნარგავები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საჭიროა წერილობით მოგვმართოს აღნიშნულმა ორგანიზაციამ, მწვანე ნარგავების გადაბელვის/მოჭრის მოთხოვნით, ან/და უნდა წარმოადგინოთ თქვენი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც თქვენ იმოქმედებთ ზემოაღნიშნული ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოთ 20 დღის ვადაში.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი


S-02
S-02
24.000





პირობითი აღნიშვნები

მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ღობე
კანალიზაცია	არსებული შენობა	გაზონი	ხეების რიგი
წყლის კაბელი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი
გაზის მილი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა
წყლის მილი	კიბე	შადრევანი	ლამპიონები
კანალიზაციის	ფოთლოვანი ხე	ორკანი	ელექტრო ბოძი
	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა
	ხეხილის ხე	ბენზინგასამართი სადგური	მისადგომი
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი მილსადენი

ღობე		
ბორდიური		
ბეტონი		
ქვიშა		
საყრდენი კედელი		
ბილიკი		
გზის კონტური		
ფილტე		
წყლის კონტური		

შპს „ვილა-XXI"

დირექტორი		გ. ვეშაპიძე
შემსრულებელი		ა.ოდიშელიძე
დამკვეთი		შპს. „მიქსორი"
ობ. მისამართი		ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, ნ 23
ს.კ 01.19.34.003.098		
ფართი 44042 კვმ		ტოპოგეგმა მ 1:1700 28.01.2020 წ

ორგნებრივი ნახაზი

ობიექტის დასახელება	ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩა N 23 საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის მოწყობა
ობიექტის მისამართი	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N 23
დამკვეთი	შპს "ბათუმის ტექნიკური უნივერსიტეტი"
პროექტირების ეტაპი	სამშენებლო პროექტი
პროექტის N	23

ს/კ 01.19.34003.098	ფართობი 44043 კვ.მ
ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N 23 საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის მოწყობა	
ნაკვეთის N 11700 28.01.2020 წ.	

ორგნებრივი ნახაზის ლეგენდა

ტერიტორიის საზღვარი	ნაგებობის ობიექტის ნომერი
ნაგებობის ობიექტის ნომერ